მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №52
2023 წლის 26 დეკემბერი

ქ. მცხეთა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 თებერვლის #23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 თებერვლის №23 დადგენილებაში (matsne.gov.ge, 010260020.35.153.016417, 20/02/2018), კერძოდ, დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების:

ა) პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„2. სამსახური თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსით“, „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.“

ბ) მე-2 მუხლის „დ“ პუნქტი ამოღებულ იქნას;

გ) მე-7 მუხლი ამოღებულ იქნას.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 01 იანვრიდან.

მცხეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ელოშვილი**